კონვენცია ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ

(დადებულია 1980 წლის 25 ოქტომბერს)
(ძალაში შევიდა 1983 წლის 1 დეკემბერს)

წინამდებარე კონვენციის ხელმომწერმა სახელმწიფოებმა,

მტკიცედ დარწმუნებულებმა, რომ ბავშვების ინტერესებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მათზე მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხებში,

მოწადინებულებმა, უზრუნველყონ ბავშვების საერთაშორისო დაცვა მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მავნე შედეგებისაგან და დაადგინონ პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს სწრაფ დაბრუნებას მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში, და აგრეთვე იძლევიან ურთიერთობის უფლებათა დაცვის გარანტიას,

გადაწყვიტეს, დადონ ამ მიზნით კონვენცია და შეთანხმდნენ შემდეგ დებულებებზე:

თავი I – კონვენციის მოქმედების სფერო

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებია:

a) რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლზომიერად გადაყვანილი ან დაკავებული ბავშვების სწრაფი დაბრუნების უზრუნველყოფა; და

b) უზრუნველყოფა იმისა, რომ მეურვეობისა და ურთიერთობის უფლებანი, გათვალისწინებული ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ეფექტიანად სრულდებოდეს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში.

მუხლი 2

ხელშემკვრელი სახელმწიფოები ყველა სათანადო ზომას იღებენ თავიანთი ტერიტორიების ფარგლებში ამ კონვენციის მიზნების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ისინი იყენებენ ხელთარსებულთაგან უსწრაფეს პროცედურებს.

მუხლი 3

ბავშვის გადაადგილება ან დაკავება არამართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, როდესაც:

a) ეს წარმოადგენს დარღვევას მეურვეობის უფლებებისა, მიკუთვნებულისა პირისთვის, დაწესებულებისთვის ან სხვა ორგანოსთვის, ერთობლივად თუ ცალკე, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ გადაადგილებამდე ან დაკავებამდე; და

b) გადაადგილების ან დაკავების დროისათვის ეს უფლებები რეალურად გამოიყენებოდა, ერთობლივად თუ ცალკე, ანდა ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა გადაადგილება ან დაკავება.

ზემოთ, a) ქვეპუნქტში მოხსენიებული მეურვეობის უფლებანი შეიძლება, კერძოდ, წარმოიქმნას კანონის მოქმედების შედეგად, სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების საფუძველზე, ანდა ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით კანონიერი ძალის მქონე შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4

კონვენცია გამოიყენება ნებისმიერი იმ ბავშვის მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობდა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევამდე. კონვენცია აღარ გამოიყენება, როდესაც ბავშვი 16 წლის ასაკს მიაღწევს.

მუხლი 5

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

a) „მეურვეობის უფლებები“ მოიცავს უფლებებს, რომლებიც შეეხება ბავშვის პიროვნებაზე მზრუნველობას და, კერძოდ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლებას.

b) „ურთიერთობის უფლება“ მოიცავს უფლებას ბავშვის განსაზღვრული დროით წაყვანისა ისეთ ადგილას, რომელიც არ არის ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი.

თავი II – ცენტრალური ორგანოები

მუხლი 6

ხელშემკვრელი სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს იმ მოვალეობათა შესასრულებლად, რომელთაც კონვენცია ამგვარ ორგანოებს აკისრებს.

ფედერალურ სახელმწიფოებს, რამდენიმე სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებსა და ავტონომიური ტერიტორიული ერთეულების მქონე სახელმწიფოებს უფლება აქვთ დანიშნონ რამდენიმე ცენტრალური ორგანო და დაადგინონ მათი უფლებამოსილებების ტერიტორიული ფარგლები. როდესაც სახელმწიფოს რამდენიმე ცენტრალური ორგანო ჰყავს დანიშნული, მან უნდა დანიშნოს ცენტრალური ორგანო, რომელსაც შეიძლება გაეგზავნოს განაცხადები ამ სახელმწიფოს ფარგლებში არსებული სათანადო ცენტრალური ორგანოსათვის გადასაგზავნად.

მუხლი 7

ცენტრალური ორგანოები თანამშრომლობენ ურთიერთს შორის და ხელს უწყობენ თავიანთ სახელმწიფოებში არსებულ კომპეტენტურ ორგანოთა თანამშრომლობას ბავშვების სწრაფი დაბრუნების უზრუნველსაყოფად და ამ კონვენციის სხვა მიზნების მისაღწევად.

კერძოდ, ისინი, უშუალოდ ან ნებისმიერი შუამავლის მეშვეობით, ყველა სათანადო ზომას ღებულობენ:

a) რათა აღმოაჩინონ არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის ადგილსამყოფელი;

b) რათა არ დაუშვან შემდგომი ზიანის მიყენება ბავშვისთვის ან ვნების მიყენება დაინტერესებულ პირთათვის დროებითი ზომების მიღებით ან მიღებინებით;

c) რათა უზრუნველყონ ბავშვის ნებაყოფლობით დაბრუნება, ან მიაღწიონ სადავო საკითხების მშვიდობიან მოგვარებას;

d) რათა გაცვალონ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, ბავშვის სოციალურ ფონთან დაკავშირებული ინფორმაცია;

e) რათა მიაწოდონ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია მათი სახელმწიფოს კანონმდებლობის თაობაზე კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით;

f) რათა წამოიწყონ ან გააადვილონ სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების აღძვრა ბავშვის დაბრუნების მიღწევის მიზნით და, სათანადო შემთხვევაში, გაატარონ ღონისძიებანი ურთიერთობის უფლებათა ეფექტიანი გამოყენების ორგანიზებისთვის ან უზრუნველყოფისთვის;

g) რათა, როდესაც გარემოებები ამას მოითხოვს, უზრუნველყონ ან გააადვილონ იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის გაწევა, იურისკონსულტისა და იურიდიულ მრჩეველთა მონაწილეობის ჩათვლით;

h) რათა გაატარონ იმგვარი ადმინისტრაციული ღონისძიებანი, როგორიც აუცილებელი და მიზანშეწონილი შეიძლება იყოს ბავშვის უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად;

i) რათა ინფორმირებული ჰყავდეთ ურთიერთი ამ კონვენციის მოქმედების თაობაზე და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღმოფხვრან მისი გამოყენების შემაფერხებელი ნებისმიერი დაბრკოლებანი.

თავი III – ბავშვების დაბრუნება

მუხლი 8

ნებისმიერ პირს, დაწესებულებას ან სხვა ორგანოს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბავშვი გადაადგილებული ან დაკავებული იქნა მეურვეობის უფლებათა დარღვევით, შეუძლია მიმართოს ან ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ცენტრალურ ორგანოს, ანდა ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს დახმარებისთვის ბავშვის დაბრუნების უზრუნველყოფაში.

განაცხადში უნდა შევიდეს:

a) ინფორმაცია, რომელიც შეეხება ვინაობას განმცხადებლისა, ბავშვისა და პირისა, ვინც, სავარაუდოდ, ბავშვის გადაადგილება ან დაკავება მოახდინა;

b) თუ ამგვარი ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ბავშვის დაბადების თარიღი;

c) არგუმენტები, რომელსაც ემყარება განმცხადებლის მოთხოვნა ბავშვის დაბრუნების თაობაზე;

d) მთელი ხელთარსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება ბავშვის ადგილსამყოფელს და იმ პირის ვინაობას, ვისთანაც ბავშვი, სავარაუდოდ, იმყოფება.

განცხადებას შეიძლება თან დაერთოს ან დაემატოს:

e) ნებისმიერი შესაბამისი გადაწყვეტილების ან შეთანხმების დამოწმებული ასლი;

f) ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოდან ან სხვა კომპეტენტური ორგანოდან, ანდა უფლებამოსილი პირისგან მომდინარე მოწმობა ან ფიცით დამოწმებული წერილობითი ჩვენება ამ სახელმწიფოს შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ;

g) ნებისმიერი სხვა შესაბამისი დოკუმენტი.

მუხლი 9

თუ ცენტრალურ ორგანოს, რომელიც მიიღებს მე-8 მუხლში მოხსენიებულ განაცხადს, საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ბავშვი მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იმყოფება, იგი უშუალოდ და დაუყოვნებლივ გადაუგზავნის განაცხადს ამ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს და ინფორმაციას მიაწვდის, შემთხვევისდა მიხედვით, მოთხოვნის გამგზავნ ცენტრალურ ორგანოს, ან განმცხადებელს.

მუხლი 10

იმ სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ, სადაც ბავშვი იმყოფება, უნდა მიიღოს ან მიაღებინოს ყველა სათანადო ზომა ბავშვის ნებაყოფლობით დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 11

ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოები ოპერატიულად მოქმედებენ ბავშვების დასაბრუნებელი პროცედურების განხორციელებისას.

თუ შესაბამისი სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო არ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის გარჩევის დაწყების თარიღიდან ექვსი კვირის განმავლობაში, განმცხადებელს ან მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით ან თუკი ამას მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო სთხოვს, მოითხოვოს ახსნა-განმარტება დაყოვნების მიზეზების თაობაზე. თუ პასუხი მიღებულ იქნა მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ, ეს ორგანო გადაუგზავნის პასუხს, შემთხვევისდა მიხედვით, მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს, ან განმცხადებელს.

მუხლი 12

როდესაც ბავშვი არამართლზომიერად არის გადაადგილებული ან დაკავებული მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში და, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს, სადაც ბავშვი იმყოფება, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარჩევის დაწყების თარიღისთვის, გასულია ერთ წელზე ნაკლები ვადა არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების თარიღიდან, აღნიშნული ორგანო დაუყოვნებლივ იძლევა განკარგულებას ბავშვის დაბრუნების თაობაზე.

სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო, მაშინაც კი, თუ საქმის გარჩევა დაიწყო წინა პუნქტში მოხსენიებული ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, აგრეთვე იძლევა განკარგულებას ბავშვის დაბრუნების თაობაზე, თუკი თვალნათლივ არ იქნა ნაჩვენები, რომ ბავშვი ამ დროისათვის ინტეგრირებულია თავის ახალ გარემოში.

როდესაც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ბავშვი წაყვანილია მეორე სახელმწიფოში, მას შეუძლია შეაჩეროს საქმის გარჩევა, ანდა უარყოს განაცხადი.

მუხლი 13

მიუხედავად წინამავალი მუხლის დებულებებისა, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის, გასცეს განკარგულება ბავშვის დაბრუნების თაობაზე თუკი პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომელიც მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება, დაადგენს, რომ:

a) პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომლის მზრუნველობის ქვეშაც იმყოფება ბავშვის პიროვნება, რეალურად არ სარგებლობდა მეურვეობის უფლებებით გადაადგილების ან დაკავების დროისათვის, ანდა დაეთანხმა ან მოგვიანებით შეეგუა გადაადგილებას ან დაკავებას; ან

b) არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ მისი დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში.

სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს აგრეთვე შეუძლია უარი განაცხადოს ბავშვის დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე, თუკი იგი აღმოაჩენს, რომ ბავშვი მისი დაბრუნების წინააღმდეგია და მან უკვე მიაღწია ისეთ წლოვანებასა და მოწიფულობის ასაკს, როდესაც მიზანშეწონილია მისი აზრის გათვალისწინება.

ამ მუხლში მოხსენიებული გარემოებების განხილვისას, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები მხედველობაში ღებულობენ ბავშვის სოციალურ ფონთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მიწოდებულს ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

მუხლი 14

იმის დადგენისას, ჰქონდა თუ არა ადგილი არამართლზომიერ გადაადგილებას ან დაკავებას მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ უშუალოდ იხელმძღვანელონ ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს

კანონით და ამ სახელმწიფოში ოფიციალურად აღიარებული თუ არ აღიარებული სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებით ისე, რომ არ მიმართონ სპეციალურ პროცედურებს, გათვალისწინებულს ამგვარი კანონის დასადასტურებლად ან საზღვარგარეთ მიღებული გადაწყვეტილებების საღიარებლად, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებადი იქნებოდა.

მუხლი 15

ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ, ბავშვის დაბრუნების თაობაზე განკარგულების გაცემამდე, მოითხოვონ, რომ განმცხადებელმა ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს ორგანოთაგან აიღოს გადაწყვეტილება ან სხვაგვარი დადგენილება იმის თაობაზე, რომ ბავშვის გადაადგილება ან დაკავება არამართლზომიერი იყო კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, თუკი ამგვარი გადაწყვეტილების ან დადგენილების აღება შესაძლებელია ამ სახელმწიფოში. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ცენტრალური ორგანოები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელს უწყობენ განცხადებლებს ამგვარი გადაწყვეტილების ან დადგენილების აღებაში.

მუხლი 16

მას შემდეგ რაც მიიღებენ შეტყობინებას, რომელიც შეეხება ბავშვის არამართლზომიერ გადაადგილებას ან დაკავებას მე-3 მუხლის მნიშვნელობით, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოები, რომელშიც გადაყვანილია ან დაკავებულია ბავშვი, არ ღებულობენ გადაწყვეტილებას მეურვეობის უფლებათა არსის თაობაზე მანამ, სანამ არ დადგინდება, რომ ბავშვი არ უნდა იქნეს დაბრუნებული ამ კონვენციის მიხედვით, ან თუ ამ კონვენციის მიხედვით გათვალისწინებული განაცხადი შეტანილი არ იქნება შეტყობინების მიღებიდან გონივრული ვადის ფარგლებში.

მუხლი 17

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მეურვეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება აღიარებულია ან აღიარებას ექვემდებარება მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში, ვერ იქნება საფუძველი უარის თქმისთვის ბავშვის დაბრუნებაზე ამ კონვენციის მიხედვით, მაგრამ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ მხედველობაში მიიღონ აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზები მოცემული კონვენციის გამოყენებისას.

მუხლი 18

ამ თავის დებულებები არ ზღუდავს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას, ნებისმიერ დროს გასცეს განკარგულება ბავშვის დაბრუნების თაობაზე.

მუხლი 19

ამ კონვენციის მიხედვით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ბავშვის დაბრუნების შესახებ არ უნდა ჩაითვალოს დადგენილებად მეურვეობასთან დაკავშირებული რაიმე საკითხის არსის თაობაზე.

მუხლი 20

მე-12 მუხლის დებულებათა მიხედვით ბავშვის დაბრუნებაზე უარი შეიძლება იქნეს ნათქვამი, თუკი ეს აკრძალულია თანახმად მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ძირითადი პრინციპებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას შეეხება.

თავი IV – ურთიერთობის უფლებები

მუხლი 21

განაცხადი ღონისძიებათა გატარების თაობაზე ურთიერთობის უფლებათა ეფექტიანი გამოყენების ორგანიზებისთვის ან უზრუნველყოფისთვის შეიძლება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ცენტრალურ ორგანოებს წარედგინოს ისეთნაირადვე, როგორც განაცხადი ბავშვის დაბრუნების მოთხოვნით.

ცენტრალური ორგანოები დავალდებულებულნი არიან მე-7 მუხლში მოყვანილი ვალდებულებებით თანამშრომლობის თაობაზე, ხელი შეუწყონ ურთიერთობის უფლებათა მშვიდობიან გამოყენებასა და ნებისმიერი იმ პირობების შესრულებას, რომლებსაც ამ უფლებებით სარგებლობა შეიძლება ექვემდებარებოდეს. ცენტრალური ორგანოები ღებულობენ ზომებს, რათა აღმოფხვრან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამგვარი უფლებების გამოყენების შემაფერხებელი ყველა დაბრკოლება.

ცენტრალურ ორგანოებს, უშუალოდ ან შუამავლების მეშვეობით, შეუძლიათ წამოწყება ან ხელის შეწყობა პროცედურების აღძვრისა ამ უფლებათა ორგანიზების ან დაცვის მიზნითა და იმ პირობათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებსაც ამ უფლებებით სარგებლობა შეიძლება ექვემდებარებოდეს.

თავი V – ზოგადი დებულებები

მუხლი 22

ამ კონვენციის მოქმედების ფარგლებში შემავალი სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების საფასურებისა და ხარჯების გადახდის უზრუნველსაყოფად მოთხოვნილი არ უნდა იქნეს არანაირი გარანტია, ფულადი სავალო ვალდებულება ან გირაო, როგორც არ უნდა იქნეს ისინი აღწერილი.

მუხლი 23
ამ კონვენციის კონტექსტში არ შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ლეგალიზაცია ან მსგავსი ფორმალობა.
მუხლი 24

ნებისმიერი განაცხადი, შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი, გაგზავნილი მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოსათვის, უნდა იყოს ორიგინალის ენაზე და მას თან უნდა ახლდეს თარგმანი მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე ან, როდესაც ეს შეუძლებელია, თარგმანი ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე.

თუმცა, ხელშემკვრელ სახელმწიფოს, დათქმის გაკეთებით 42-*ე* მუხლის თანახმად, შეუძლია შეეწინააღმდეგოს ფრანგულის ან ინგლისურის, მაგრამ არა ორივე

მათგანის, გამოყენებას მისი ცენტრალური ორგანოსთვის გაგზავნილ ნებისმიერ განაცხადში, შეტყობინებაში ან სხვა დოკუმენტში.

მუხლი 25

ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მოქალაქეებსა და პირებს, რომლებიც ჩვეულებრივ ამ სახელმწიფოთა ფარგლებში ცხოვრობენ, ამ კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებში აქვთ ნებისმიერ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის მიღების უფლება ისეთივე პირობებით, თითქოს ისინი თავად იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქენი ან ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ მასში.

მუხლი 26

ამ კონვენციის გამოყენებისას, თითოეული ცენტრალური ორგანო თავად ეწევა საკუთარ ხარჯებს.

ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ცენტრალური ორგანოები ან სხვა სახელმწიფო სამსახურები არ მოითხოვენ რაიმე საფასურების გადახდას ამ კონვენციის მიხედვით შეტანილ განაცხადებთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ უფლება არა აქვთ, მოსთხოვონ განმცხადებელს თანხის გადახდა პროცესუალურ ქმედებათა საფასურებისა და ხარჯების ან, სადაც ეს გამოყენებადია, იურისკონსულტის ან იურიდიულ მრჩეველთა მონაწილეობის შედეგად წარმოქმნილი საფასურებისა და ხარჯების დასაფარავად. თუმცა, მათ შეუძლიათ მოითხოვონ ბავშვის დაბრუნების განხორციელებისას გაწეული ან გასაწევი ხარჯების დაფარვა.

თუმცა, ხელშემკვრელ სახელმწიფოს, დათქმის გაკეთებით 42-ე მუხლის თანახმად, შეუძლია განაცხადოს, რომ იგი ვალდებული არ არის საკუთარ თავზე აიღოს წინა პუნქტში მოხსენიებული ხარჯები, წარმოქმნილი იურისკონსულტის ან იურიდიულ მრჩეველთა მონაწილეობის შედეგად, ან სასამართლო პროცედურების შედეგად, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ეს ხარჯები შეიძლება დაფაროს იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების მისმა სისტემამ.

ბავშვის დაბრუნების თაობაზე განკარგულების, ან ამ კონვენციის მიხედვით გათვალისწინებული ურთიერთობის უფლებებთან დაკავშირებული განკარგულების გაცემისას, სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, უბრძანონ პირს, ვინც ბავშვი გადააადგილა ან დააკავა, ანდა ვინც ხელი შეუშალა ურთიერთობის უფლებათა განხორციელებას, დაფაროს აუცილებელი ხარჯები, გაღებული განმცხადებლის მიერ ან მისი სახელით, სამგზავრო ხარჯების ჩათვლით, ბავშვის ადგილსამყოფლის დასადგენად გაღებული ნებისმიერი ხარჯები ან გადახდილი თანხები, განმცხადებლის იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯები და ბავშვის დაბრუნების ხარჯები.

მუხლი 27

როდესაც ცხადია, რომ ამ კონვენციის მოთხოვნები არ სრულდება, ან განაცხადი სხვა მხრივ კარგად არ არის დასაბუთებული, ცენტრალური ორგანო ვალდებული არ არის მიიღოს განაცხადი. ასეთ შემთხვევაში, ცენტრალური ორგანო დაუყოვნებლივ

მუხლი 28

ცენტრალურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს, რომ განაცხადს თან ახლდეს წერილობითი რწმუნებულება, რომელიც აღჭურავს მას უფლებამოსილებით, იმოქმედოს განმცხადებლის სახელით, ან დანიშნოს წარმომადგენელი, რომელიც ამგვარად იმოქმედებს.

მუხლი 29

ეს კონვენცია ხელს არ უშლის ნებისმიერ პირს, დაწესებულებას ან ორგანოს, რომელიც აცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევას მე-3 ან 21-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, მიმართოს უშუალოდ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს, ამ კონვენციის დებულებათა თანახმად იქნება ეს, თუ არა.

მუხლი 30

ნებისმიერი განაცხადი, წარდგენილი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოებისთვის ან უშუალოდ სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოებისთვის ამ კონვენციის პირობების თანახმად, მისთვის თანდართულ ან ცენტრალური ორგანოს მიერ მიწოდებულ დოკუმენტებთან და ნებისმიერ სხვა ინფორმაციასთან ერთად, ექვემდებარება მიღებას ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

მუხლი 31

იმ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, რომელსაც ბავშვების მეურვეობის საკითხებში აქვს ორი ან მეტი სამართლებრივი სისტემა, გამოყენებადი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში:

a) ნებისმიერი მოხსენიება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილისა ამ სახელმწიფოში ინტერპრეტირებული უნდა იქნეს, როგორც მოხსენიება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილისა ამ სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულში;

b) ნებისმიერი მოხსენიება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს კანონმდებლობისა ინტერპრეტირებული უნდა იქნეს, როგორც მოხსენიება აღნიშნული სახელმწიფოს იმ ტერიტორიული ერთეულის კანონმდებლობისა, სადაც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

მუხლი 32

იმ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, რომელსაც ბავშვების მეურვეობის საკითხებში აქვს ორი ან მეტი სამართლებრივი სისტემა, გამოყენებადი პირთა სხვადასხვა კატეგორიების მიმართ, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის ნებისმიერი მოხსენიება ინტერპრეტირებული უნდა იქნეს, როგორც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი სისტემის მოხსენიება.

მუხლი 33

სახელმწიფო, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ თავიანთი საკუთარი სამართლებრივი ნორმები ბავშვების მეურვეობასთან მიმართებაში, ვალდებული არ არის გამოიყენოს ეს კონვენცია იმ შემთხვევებში, როდესაც ერთიანი სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფო ვალდებული არ იქნებოდა ეს გაეკეთებინა.

მუხლი 34

ამ კონვენციას, მისი მოქმედების ფარგლებში შემავალ საკითხებში, პრიორიტეტი ენიჭება 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციაზე არასრულწლოვანთა დაცვასთან მიმართებაში ორგანოების უფლებამოსილებათა და გამოყენებად სამართლებრივ ნორმათა შესახებ, როდესაც საქმე ეხება ურთიერთობას ორივე ამ კონვენციის მხარეთა შორის. სხვა მხრივ, წინამდებარე კონვენცია არ ზღუდავს გამოყენებას ამა თუ იმ საერთაშორისო დოკუმენტისა, რომელიც ძალაშია წარმომავლობის სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელსაც მიმართეს, ან გამოყენებას სხვა სამართლებრივი ნორმისა იმ სახელმწიფოსი, რომელსაც მიმართეს არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნების მიღწევის მიზნით, ან ურთიერთობის უფლებათა ორგანიზების მიზნით.

მუხლი 35

ეს კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის გამოიყენება მხოლოდ იმ არამართლზომიერ გადაადგილებათა და დაკავებათა მიმართ, რომელთაც ადგილი ექნებათ მისი ძალაში შესვლის შემდეგ ამ სახელმწიფოებში.

როდესაც გაკეთებულია განცხადება 39-ე ან მე-40 მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოხსენიება წინამავალ პარაგრაფში გაგებული უნდა იქნეს, როგორც მოხსენიება იმ ტერიტორიული ერთეულის ან ერთეულებისა, რომლის მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია.

მუხლი 36

არაფერი ამ კონვენციაში ხელს არ უშლის ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, იმ მიზნით, რათა შეამცირონ იმ შეზღუდვათა რაოდენობა, რომლებსაც ბავშვის დაბრუნება შეიძლება ექვემდებარებოდეს, შეთანხმდნენ ურთიერთს შორის, ნაწილობრივ გააუქმონ ამ კონვენციის ნებისმიერი დებულებანი, რომლებიც ამგვარ შეზღუდვებს შეიძლება გულისხმობდეს.

თავი VI – დასკვნითი დებულებები

მუხლი 37

კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც იყვნენ კერძო საერთაშორისო სამართლის საკითხებში ჰააგის კონფერენციის წევრები მისი მეთოთხმეტე სესიის დროს.

იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას, ხოლო დოკუმენტები რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ შესანახად ჰბარდება ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 38

ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს შეუძლია შეუერთდეს ამ კონვენციას.

დოკუმენტი შეერთების შესახებ შესანახად ჰბარდება ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

კონვენცია მასთან შეერთებული სახელმწიფოსთვის ძალაში შედის შეერთების შესახებ მისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

შეერთებას ძალა ექნება მხოლოდ შეერთებულ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობასთან მიმართებაში, რომლებსაც განცხადებული ექნებათ მათ მიერ შეერთების მიღების შესახებ. ამგვარი განცხადება გასაკეთებელი ექნება ნებისმიერ იმ წევრ სახელმწიფოსაც, რომელიც კონვენციას რატიფიკაციას გაუკეთებს, მიიღებს ან დაამტკიცებს შეერთების შემდეგ. ამგვარი განცხადება შესანახად ჰბარდება ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს; ეს სამინისტრო დიპლომატიური არხებით გადაუგზავნის მის დამოწმებულ ასლს თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს.

კონვენცია მასთან შეერთებულ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელმაც განაცხადა მის მიერ შეერთების მიღების შესახებ, ძალაში შევა მიღების შესახებ განცხადების შესანახად ჩაბარებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

მუხლი 39

ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს განაცხადოს, რომ კონვენცია ვრცელდება ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხისმგებელია, ან ერთ ან რამდენიმე მათგანზე. ამგვარი განცხადება ძალაში შედის იმ დროს, როდესაც კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოსათვის.

ამგვარი განცხადების, ისევე როგორც ნებისმიერი შემდგომი გავრცელების შესახებ, ატყობინებენ ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 40

თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს ორი ან მეტი ტერიტორიული ერთეული, რომლებშიც გამოიყენება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები, დაკავშირებული ამ კონვენციაში განხილულ საკითხებთან, მას შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება ყველა მის ტერიტორიულ ერთეულზე ან მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანზე, და შეუძლია მოახდინოს ამ განცხადების მოდიფიკაცია სხვა განცხადების წარდგენით ნებისმიერ დროს.

ამგვარი განცხადების შესახებ ატყობინებენ ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და მასში გარკვევით მიუთითებენ ტერიტორიულ ერთეულებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება კონვენცია.

მუხლი 41

როდესაც ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს მმართველობის სისტემა, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო ძალაუფლება განაწილებულია ამ სახელმწიფოში არსებულ ცენტრალურ და სხვა ორგანოთა შორის, მის მიერ ამ კონვენციის ხელმოწერა ან რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება, ან მასთან შეერთება, ანდა მის მიერ რაიმე განცხადების გაკეთება მე-40 მუხლის მიხედვით არ გულისხმობს რაიმე შედეგებს ამ სახელმწიფოს ფარგლებში ძალაუფლებათა განაწილებისათვის.

მუხლი 42

ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, არა უგვიანეს რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროისა, ან 39-ე ან მე-40 მუხლის მიხედვით განცხადების გაკეთების დროს, გააკეთოს ერთი ან ორივე დათქმა, გათვალისწინებული 24-ე მუხლში და 26-ე მუხლის მესამე პუნქტში. არანაირი სხვა დათქმა ნებადართული არ არის.

ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს მის მიერ გაკეთებული დათქმა. გაუქმების შესახებ ატყობინებენ ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

დათქმა მოქმედებას წყვეტს წინამავალ პარაგრაფში მოხსენიებული შეტყობინებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

მუხლი 43

კონვენცია ძალაში შედის 37-ე და 38-ე მუხლებში მოხსენიებული რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ მესამე დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

ამის შემდეგ კონვენცია ძალაში შედის:

(1) ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც მოგვიანებით მოახდენს მის რატიფიცირებას, მიღებას, დამტკიცებას, ან შეუერთდება მას, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ მისი დოკუმენტის ჩაბარებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს;

(2) ნებისმიერი ტერიტორიისთვის ან ტერიტორიული ერთეულისთვის, რომელზეც კონვენცია გავრცელებულ იქნა 39-ე ან მე-40 მუხლის თანახმად, აღნიშნულ მუხლში მოხსენიებული შეტყობინებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

მუხლი 44

კონვენცია ძალაში რჩება ხუთი წლის განმავლობაში ძალაში მისი შესვლის თარიღიდან 43-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ სახელმწიფოებისთვისაც კი, რომლებმაც მოგვიანებით მოახდინეს მისი რატიფიცირება, მიღება, დამტკიცება, ან შეუერთდნენ მას.

თუ ადგილი არა ჰქონია დენონსაციას, იგი ავტომატურად განახლდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

ნებისმიერი დენონსაციის შესახებ ატყობინებენ ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სულ მცირე ექვსი თვით ადრე ხუთწლიანი ვადის ამოწურვამდე. იგი შეიძლება შემოიფარგლოს ზოგიერთით იმ ტერიტორიებიდან თუ ტერიტორიული ერთეულებიდან, რომელთა მიმართაც გამოიყენება კონვენცია.

დენონსაციას ძალა აქვს მხოლოდ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელსაც შეტყობინებული აქვს მის შესახებ. კონვენცია ძალაში რჩება დანარჩენი ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის.

მუხლი 45

ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კონფერენციის წევრ სახელმწიფოებსა და სახელმწიფოებს, რომლებიც შეუერთდნენ კონვენციას 38-ე მუხლის თანახმად, ატყობინებს:

(1) იმ ხელმოწერებისა და რატიფიკაციების, მიღებებისა და დამტკიცებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 37-ე მუხლში;

(2) იმ შეერთებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 38-ე მუხლში;

(3) იმ თარიღის შესახებ, როდესაც კონვენცია ძალაში შედის თანახმად 43-ე მუხლისა;

(4) კონვენციის მოქმედების იმ გავრცელებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 39-ე მუხლში;

(5) იმ განცხადებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 38-ე და მე-40 მუხლებში;

(6) იმ დათქმების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 24-ე მუხლსა და 26-ე მუხლის მესამე პუნქტში, და დათქმათა იმ გაუქმებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 42-ე მუხლში;

(7) იმ დენონსაციების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 44-ე მუხლში.

რის დასადასტურებლადაც ქვემორე ხელის მომწერებმა, იყვნენ რა ამისთვის სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ჰააგაში, 1980 წლის 25 ოქტომბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად autentიკურია, ერთ ეგზემპლარად, რომელიც შესანახად ჰბარდება ნიდერლანდის სამეფოს მთავრობის არქივებს, და რომლის დამოწმებული ასლიც დიპლომატიური არხებით ეგზავნება თითოეულ სახელმწიფოს, წევრს საერთაშორისო სამართლის საკითხებში ჰააგის კონფერენციისა მისი მეთოთხმეტე სესიის თარიღისთვის.